

იაპონური ენა

გარეგანი ზემოქმედებისა და შინაგანი ინოვაციის მდიდარი ნაზავი



კალიგრაფია წარმოადგენს ხელოვნების ფორმას, რომელის მიზანია ფუნჯისა და მელნის მეშვეობით წარმოაჩინოს ასოების სილამაზე (ფოტო Getty Images-სგან)

შესავალი

2013 წლის მონაცემებით იაპონიის მოსახლეობა 127 მილიონს აჭარბებს, რომლის 99%-ზე მეტი ერთ საერთო ენაზე მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ იაპონური ენა იაპონიის გარეთ თითქმის არ გამოიყენება, მასზე მოსაუბრეთა რაოდენობის სიდიდით იგი მეექვსეა მსოფლიოში.

იაპონური ენის წარმოშობის შესახებ მრავალი თეორია არსებობს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სინტაქსის მხრივ ის ახლოს დგას ისეთ ალთაურ ენებთან, როგორცაა თურქული და მონღოლური. ფართოდ არის აღიარებული იაპონურის სინტაქსური მსგავსება კორეულთანაც. არსებობს მტკიცებულება, რომ მისმა მორფოლოგიამ და ლექსიკამ პრეისტორიულ პერიოდში განიცადა სამხრეთ მალაიურ-პოლინეზიური ენების გავლენა.

იაპონური დამწერლობითი სისტემა ჩინურიდან იღებს სათავეს, თუმცა იპონელებისა და ჩინელების სამეტყველო ენები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. მას შემდეგ, რაც შემოიღეს ჩინური დამწერლობა, დაახლოებით მეხუთე ან მეექვსე საუკუნეში, მას დაურთეს ორი ფონეტიკური დამწერლობა (ჰირაგანა და კატაკანა), რაც წარმოადგენდა ჩინური ასოების ტრანსფორმაციებს.

მაშინ როცა სტანდარტული იაპონური, რომელიც ტოკიოს მეტყველებას ეფუძნება, უკვე გავრცელებულია მთელს ქვეყანაში მასმედიის საშუალებით, როგორცაა რადიო, ტელევიზია, კინო, მის მხარდამხარ გამოიყენება ადგილობრივ დიალექტთა დიდი ნაწილი, ცალკე უნდა აღინიშნოს კიოტოსა და ოსაკას მაცხოვრებელთა მეტყველება, რომელიც დღესაც განაგრძობს განვითარებასა და ინარჩუნებს ჩვეულ პრესტიჟს.

ფონოლოგია

ქართულად, იტალიურად და ესპანურად მოლაპარაკენი აღმოაჩენენ, რომ მოკლე იაპონური ხმოვნები, როგორცაა - *a, i, u, e, o* - წარმოითქმის მსგავსად მათ ენებში არსებული შესაბამისი ხმოვნებისა. გრძელი ხმოვნები კი - *aa, ii, uu, ei ან ee, oo* - წარმოითქმის მოკლე ხმოვნების სიგრძის გაორმაგების ხარჯზე (თუმცა *ei* ხშირად წარმოითქმის, როგორც ორი განცალკევებული ხმოვანი). გრძელი და მოკლე ხმოვნების ერთმანეთისგან განსხვავება გადამწყვეტია, რადგან მას აქვს სიტყვების მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია.

იაპონური თანხმოვანთა სისტემა შედგება *k, s, sh, t, ch, ts, n, h, f, m, y, r, w, g, j, z, d, b* და *p* ბგერებისგან. ფრიკატიული *sh* (როგორც ეს წარმოითქმის ინგლ. სიტყვაში - *shoot*), მსგავსად აფრიკატებისა *ch, ts* და *j* (იხ. თანმიმდევრულად შემდეგ ინგლ. სიტყვებში - *charge, gutsy* და *jerk*) წარმოადგენს ერთ თანხმოვანს. *g* თანხმოვანი ყოველთვის მჟღერია და წარმოითქმის როგორც ინგლ. სიტყვაში - „game“ და არა როგორც ინგლ. სიტყვა - „gene“-ში.

ინგლისურისგან განსხვავებით იაპონურს არ აქვს მახვილიანი აქცენტი ანუ თითოეული მარცვალი თანაბარმახვილიანია. მაშინ, როცა ინგლისური მარცვლები ზოგჯერ დაგრძელებულია, იაპონურში მარცვალთა მწკრივი მეტრონომის რეგულარობით წარმოითქმის. თუმცა ინგლისურის მსგავსად, იაპონურსაც აქვს მაღალი და დაბალი ტონის აქცენტების სისტემა.

გრამატიკა

რაც შეეხება იაპონურის სინტაქსურ სტრუქტურას, ტიპური იაპონური წინადადება ექვემდებარება ყალიბს: ქვემდებარე - დამატება - შემასმენელი. მაგ.: *Taro ga ringo o tabeta* სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც - ტარომ ვაშლი შეჭამა.

იაპონელები ხშირად გამოტოვებენ ქვემდებარეს, დამატებას ან ორივეს ერთად წინადადების ხმარებისას, როცა გრძნობენ, რომ კონტექსტიდან გამომდინარე მათი ნათქვამი სათანადოდ იქნება აღქმული ანუ როდესაც მოსაუბრე ან მწერალი თავდაჯერებულია, რომ მსმენელი ან მკითხველი უკვე ფლობს გარკვეულ ინფორმაციას მოცემულ სიტუაციაში და მისი ნათქვამი მარტივად იქნება აღქმული. შესაბამისად, ზემოხსენებულმა წინადადება შეიძლება განიცადოს შემდეგი სახის ტრანსფორმაციები: *ringo o tabeta* (შეჭამა ვაშლი) ან უბრალოდ, *tabeta* (შეჭამა).

იაპონურში, ინგლისურისგან განსხვავებით, სიტყვათგანლაგება არ მიუთითებს წინადადებაში სახელის გრამატიკულ ფუნქციაზე. სახელს, ზოგიერთი სხვა ენისგან განსხვავებით, იაპონურში არ გააჩნია ბრუნვის კატეგორია და არ იბრუნება; ამის ნაცვლად, სახელის გრამატიკული ფუნქცია გამოიხატება ნაწლაკებით, რომელიც ჩვეულებრივ მოსდევს სახელს. მათგან უფრო მნიშვნელოვანია: *ga*, *o*, *ni*, *no* და *wa*. ეს უკანასკნელი (*wa*) ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ის მიანიშნებს წინადადების თემაზე.

იაპონური ზმნის უღლილებისას არ გვხვდება პირისა და რიცხვის ნიშნები. თანამედროვე ენაში ყველა ზმნა სალექსიკონო ფორმით მთავრდება u ხმოვანზე. მაშასადამე, ზმნა *taberu* უნდა ნიშნავდეს 'ჭამა'-ს, თუმცა ის არის აწმყოში და ნიშნავს 'ჭამს' ან 'შეჭამს'. სხვა უღლილების ფორმებია *tabenai* (არ ჭამს) ან *tabeyo* (შევჭამოთ), *tabetai* (სურს რომ ჭამოს), *tabeta* (შეჭამა), *tabereba* (თუ ვინმე შეჭამს) და *tabero* (ჭამე!).

იაპონური დამწერლობა

მაშინ, როდესაც ჩინელები თავის დამწერლობას თუ იდეოგრამებს მიმართავდნენ თითოეული სიტყვის წერილობით გადმოსაცემად, იაპონლებმა გამოიგონეს ფონეტიკური დამწერლობის ორი განსხვავებული ფორმა, კანა, რასაც იყენებენ ჩინურ ასოებთან ერთად. საწერი ენა ასევე იყენებს ლათინურ ასოებს აკრონიმებში (მაგ., IBM), პროდუქტის ნომრებში და მთელი რიგი უცხოური სიტყვების გადმოსაცემად. ასე რომ, ოთხი განსხვავებული დამწერლობის ცოდნაა საჭირო თანამედროვე იაპონურად წერისას.

ჩინური იეროგლიფები, რომელთაც ეწოდებათ *კანჯი* იაპონურში, წარმოადგენენ იდეოგრამებს, თითოეული მათგანი წარმოადგენს რაიმე საგნის ან იდეის სიმბოლიზებას, ერთ *კანჯის* შეიძლება შეესატყვისებოდეს ერთზე მეტი ბგერა. იაპონიაში მათ ჩვეულებრივ იყენებენ, როგორც ჩინური წარმოშობის, ისე იაპონური სიტყვების წერისას.

მარცვლოვან *კანა* დამწერლობას გააჩნია ორი ფორმა, ერთს ეწოდება *ჰირაგანა*, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა ქალების მიერ ძველ დროში, შედგება 48 ნიშნისგან და გამოიყენება იაპონური წარმოშობის სიტყვების, ნაწილაკების, ზმნის დაბოლოებებისა და ხშირად იმ ჩინური ნასესხობების დასაწერად, რაც არ შეიძლება იქნეს დაწერილი ზოგადი მოხმარებისთვის დადგენილი ოფიციალური ნიშნებით.

კანა დამწერლობის მეორე სახეობა, რომელსაც *კატაკანა* ეწოდება ასევე 48 ნიშნისგან შედგება. ის ძირითადად გამოიყენება არაჩინური წარმოშობის ნასესხობების, ემფაზის, ონომატოპეასა და ფლორისა თუ ფაუნის სამეცნიერო დასახელებების წერილობით გადმოსაცემად.

კანას ამ ორი სახეობით გამოყენება წერისას უფრო მარტივია, ვიდრე მათი წინაპარი სრულყოფილი ჩინური დამწერლობის ნიშანთა სისტემის გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით სრული იაპონური ლექსიკონები მოიცავს დაახლოებით 50 000 ნიშნის განმარტებას, იმ ნიშანთა რიცხვი, რომელსაც ამჟამად გამოიყენებენ იაპონურში, გაცილებით მცირეა. 1946 წელს იაპონიის განათლების სამინისტრომ მოახდინა ოფიციალური და ზოგადი გამოყენებისთვის განსაზღვრული ნიშნების რაოდენობის ფიქსაცია (1,850 სიმბოლო). ამას დაემატა დაწყებითა და ჯუნიორთა უმაღლეს სკოლაში სწავლისთვის განსაზღვრული 996 ნიშანი. ეს სია 1981 წელს ჩანაცვლებულ იქნა ახალი, რამდენადმე უფრო გაფართოებული ჩამონათვალით (1,945 ნიშანი). გაზეთების გარდა, სხვა სახის პუბლიკაციები არ არის შეზღუდული ამ ფიქსირებული რაოდენობის ნიშანთა გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ბევრმა მკითხველმა იცის გაცილებით მეტი ნიშნის მნიშვნელობა, ვიდრე მათ ასწავლიან სტანდარტული საჯარო სკოლის პროგრამით.

ჩვეულებისამებრ, იაპონურს წერენ ან ბეჭდავენ ვერტიკალურ ხაზებად, რაც იკითხება ზემოდან ქვემოთ. ხაზების წერა იწყება გვერდის მარჯვენა მხრიდან და ამის შედეგად წიგნების გადაფურცვლა ხდება ევროპულ ენებზე დაწერილი წიგნების საპირისპიროდ. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ის წიგნები და პერიოდული გამოცემები, რომელიც ეძღვნება განსაკუთრებულ საკითხებს (მეცნიერული, ტექნიკური). ასეთ შემთხვევაში კი ასოები იბეჭდება ჰორიზონტალურ ხაზებზე და იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ. ამჟამად არის ტენდენცია, რომ წიგნები დაიბეჭდოს ჰორიზონტალურ ხაზებად. ასეთი სახის პუბლიკაციები კი მათი ევროპული შესატყვისების მსგავსად მარჯვნიდან მარცხნივ იწერება და იკითხება.

ნასესხები სიტყვები

იაპონურს გააჩნია არამარტო საკუთარი სიტყვების უხვი მარაგი, არამედ შეიცავს ჩინური წარმოშობის სიტყვების დიდ რაოდენობას, რომელთა უმრავლესობა ისეა ინტეგრირებული ყოველდღიურ ენაში, რომ უკვე მოსაუბრეთათვის შეუმჩნეველიც კია მათი უცხოური წარმოშობა. საუკუნეების მანძილზე ჩინეთის კულტურული გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ჩინურიდან შემორჩა ინტელექტუალურ თუ ფილოსოფიურ კონტექსტში გამოყენებული ბევრი სიტყვა. როდესაც გვიან XIX საუკუნეში და XX-ის დასაწყისში ახალმა დასავლურმა იდეებმა იწყეს შემოდინება, მათი თარგმნა მიმდინარეობდა ჩინური ნიშნების ახალი კომბინაციებით, ეს სიტყვები დღეისთვის წარმოადგენს თანამედროვე იაპონურში გამოყენებული ინტელექტუალური ლექსიკის დიდ ნაწილს.

ზემოხსენებულ ნასესხობებს უნდა დავუმატოთ ინგლისურიდან და სხვა ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვები. მანამ, სანამ გრძელდება ამ ახალი სიტყვების ნაცვლად ნეოლოგიზმების დამკვიდრება, მიღებული გახდა დასავლური სიტყვების მათივე სახით გამოყენება, მაგ.: ‘volunteer’, ‘newcaster’ და ა. შ. ამასობაში იაპონელებმა გამოიგონეს ფსევდო-ინგლისური სიტყვები, როგორცაა ‘nighter’ - ღამის თამაშები და ‘salaryman’ – ხელფასზე მომუშავე პირი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ბოლო წლებში.

ამრიგად, ნასესხობებთან დაკავშირებით, ე. წ. უცხოური ლექსიკის ‘იმპორტი’ უფრო დიდია იაპონურში, ვიდრე იაპონური ლექსიკური ‘ექსპორტი’ სხვა ენებში. გარკვეული რაოდენობის იაპონური სიტყვები გვხვდება სხვა ენებშიც, მაგალითად ისეთი სიტყვები, როგორცაა ინგლისურში შესული: anime, dojo, futon, geisha, haiku, hara-kiri, judo, kaizen, kamikaze, karaoke, karate, kimono, manga, ninja, origami, ronin, sake, samurai, sashimi, sayonara, shogun, sudoku, sumo, sushi, tempura და tsunami.

ენის თავაზიანი ფორმა

იაპონელებმა განავითარეს ენის თავაზიანი ფორმის მთელი სისტემა, რასაც *კეიგოს* უწოდებენ. ეს ენა გამოიყენება მოსაუბრის მიერ მსმენელის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად. აქ შედის მეტყველების სხვადასხვა დონე და როგორც წესი, პროფესიონალი *კეიგოს* მცოდნე ფლობს სიტყვებისა და გამონათქვამების ფართო სპექტრს და მათგან არჩევს ზუსტ შესატყვისობებს, რომ საუბრისას უზრუნველყოს ზრდილობიანობის სასურველი ხარისხი. მარტივი წინადადება შეიძლება 20-ზე მეტი სახით იქნეს ფორმულირებული, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ რა ურთიერთობაშია მოსაუბრე მსმენელთან.

ზრდილობიანი მეტყველების შესაფერისი დონის არჩევა ერთგვარი გამოწვევაა, რადგან ურთიერთობის სტატუსი განისაზღვრება ფაქტორების რთული კომბინაციით, როგორცაა სოციალური, რანგობრივი ან ასაკობრივი დონე და სქესობრივი ან თუნდაც სიმპატიისა და დავალებულობის ფაქტორი. არსებობს ასევე ე.წ. ნეიტრალური ანუ საშუალო დონის ენა, რომელიც გამოიყენება, როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთს პირველად ხვდება და მათთვის უცნობია ერთმანეთის ამა თუ იმ ჯგუფთან კავშირი და რომელთა სოციალური წარმოშობა ერთი შეხედვით საერთოა, მათ საუბარსა და ჩაცმულობაში არ შეინიშნება ხილული სხვაობა. ზოგადად, მანდილოსნები უფრო ზრდილობიან სტილს ირჩევენ მეტყველებისას ვიდრე მამაკაცები, რასაც სხვადასხვა სიტუაციებში იყენებენ.

ზოგი იაპონელი გაწაფულია *კეიგოში* და ზოგიც - არა, რადგან მასში დაოსტატება სავსებით არაა ადვილი. ზრდილობიანი ფორმები თითქმის უთვალავი რაოდენობით გვხვდება იაპონურის სხვადასხვა მეტყველების ნაწილებში, როგორცაა: არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნა და ზმნიზედა. ე. წ. მაღალფარდოვანი ფორმები გამოიყენება მაშინ, როცა საუბრობენ ადრესატზე და მასთან უშუალოდ ასოცირებულ ადამიანებზე ან საგნებზე, როგორცაა მოსაუბრეთა ნათესავები,

სახლები, კუთვნილების საგნები და ა. შ. კონტრასტისთვის აღსანიშნავია, რომ არსებობს თავმდაბლობის გამოხატველი სიტყვებიც, რომელიც უშუალოდ გამოიყენება მოსაუბრის მიერ საკუთარ თავზე, ახლობლებზე ან საგნებზე საუბრისას. ამ ორ კონტრასტულ სახეობას შორის წარმოქმნილი დისტანცია ერთი მოსაუბრის მიერ მეორეს მიმართ პატივისცემის გამოხატვის სათანადო საშუალებას იძლევა.

სახელები

იაპონელებს აქვთ გვარები და სახელები, რაც ასეთივე თანმიმდევრობით იწერება, მაგრამ ტრადიციული წესისგან განსხვავებით, იაპონიის ინგლისურენოვან ჟურნალ-გაზეთებში სახელებსა და გვარებს დასავლურ კულტურებში მიღებული განლაგებით წერენ, ანუ საკუთარი სახელი იწერება პირველად და შემდეგ მოსდევს გვარი. უცხო პირზე მიმართვისას მოსაუბრე ადრესატის გვარს უმატებს „-სან“ დაბოლოებას, რომელიც არის სიტყვების - ბატონო, ქალბატონო-ს ექვივალენტი. ბავშვებისა და უახლოესი მეგობრების სახელებს ხშირად ურთავენ სუფიქსს: „-ჩან“. ასევე გამოიყენება სხვა ტიტულები, როგორცაა მაგალითად, „-სენსეი“ (მასწავლებლის ან ექიმის გამოსახატავად), რომელიც ასევე გამოხატულია გვარზე დამატებული სუფიქსის სახით.

საკუთარი სახელები იწერება შესატყვისი ჩინური სიმბოლოებით და შერჩეულია მათი სასიამოვნო მნიშვნელობებისა და ბედნიერი ასოციაციების გამო, იმ იმედით, რომ ბედნიერების მომტანი იქნება ახალშობილისთვის. 2010 წლისთვის მთავრობამ დაამტკიცა 2,930 სიმბოლო, რისი გამოყენებაც შესაძლებელია საკუთარ სახელებში.

იაპონურად ბეჭდვა სრულდებოდა დიდ მანქანებზე. 1978 წელს პირველი იაპონური ტექსტური რედაქტორის (Word Processor) სისტემა გამოვიდა გაყიდვაში, რამაც შეძლო იაპონური ენის ფონეტიკის გადმოცემა კლავიატურის მეშვეობით. როდესაც იაპონური სიტყვები ტექსტური რედაქტორის სისტემის გამოყენებით იბეჭდება, კანას ორი დამწერლობიდან მხოლოდ ერთერთი დამწერლობა და ლათინური ანბანი გამოიყენება. IME (Input Method Editor) პროგრამული უზრუნველყოფა წარმოაჩენს ფონეტიკურ შესატყვისობებს და ნებას რთავს მომხმარებელს აირჩიოს სწორი სიმბოლოები.

კეიტაის (ფიჭური ტელეფონები) გამოყენება ელ-ფოსტისა და ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად დიდად პოპულარული გახდა იაპონიაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ტექსტური კომპონენტის შეყვანისას მომხმარებელმა უნდა დააჭიროს ცერები რიცხვიან ღილაკებს რამდენჯერმე საჭირო კანას ვარიანტის ასოების შესარჩევად. როდესაც ტექსტი კანაზე უკვე შეყვანილია, შესაძლებელია მისი გადაყვანა ჩინურ ასოებში. ჯერ კიდევ პორტატულ კომპიუტერებზე მესიჯების გაგზავნისას გაჩნდა აბრევიატურების, შემოკლებული სიტყვებისა და სიმბოლოების ხშირად გამოყენების ტენდენცია, რაც უფრო გაძლიერდა კეიტაით ტექსტურ შეტყობინებათა გაგზავნისას. იაპონელებს აქვთ საკუთარი სმაილიკების უამრავი სერია,

რომელიც ცნობილია სახელით - კაომოჯი (სახეებიანი სიმბოლოები) და ასევე აქვთ გრაფიკული ნიშნები - ემოჯი (სურათებიანი სიმბოლოები), რაც ადვილად შეიძლება ჩაისვას ფიქსური ტელეფონის ტექსტურ შეტყობინებებში სიტყვებისა თუ ფრაზების მაგივრად.

იაპონელები, რომლებიც ბავშვობიდან ერთმანეთთან პორტატულ კომპიუტერებსა თუ მობილურებზე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით ურთიერთობენ, მოწიფულ ასაკში იწყებენ მუშაობას და ხშირად ცვლიან სამწერლობო იაპონურის სტანდარტულ სახეს მისი გამოყენებისას, რაც ხშირად მათი უფროსი თაობების განაწყენების საბაზი ხდება.

ჰირაგანა

あ	い	う	え	お	が	ぎ	ぐ	げ	ご	きゃ	きゅ	きょ
a	i	u	e	o	ga	gi	gu	ge	go	kya	kyu	kyo
か	き	く	け	こ	ざ	じ	ず	ぜ	ぞ	しゃ	しゅ	しょ
ka	ki	ku	ke	ko	za	ji	zu	ze	zo	sha	shu	sho
さ	し	す	せ	そ	だ	ぢ	づ	で	ど	ちゃ	ちゅ	ちよ
sa	shi	su	se	so	da	ji	zu	de	do	cha	chu	cho
た	ち	つ	て	と						にゃ	にゅ	にょ
ta	chi	tsu	te	to						nya	nyu	nyo
な	に	ぬ	ね	の	ば	び	ぶ	べ	ぼ	ひゃ	ひゅ	ひょ
na	ni	nu	ne	no	ba	bi	bu	be	bo	hya	hyu	hyo
は	ひ	ふ	へ	ほ	ぱ	ぴ	ぷ	ぺ	ぽ	みゃ	みゅ	みょ
ha	hi	fu	he	ho	pa	pi	pu	pe	po	mya	myu	myo
ま	み	む	め	も						りゃ	りゅ	りょ
ma	mi	mu	me	mo						rya	ryu	ryo
や		ゆ		よ						ぎゃ	ぎゅ	ぎょ
ya		yu		yo						gya	gyu	gyo
ら	り	る	れ	ろ						じゃ	じゅ	じょ
ra	ri	ru	re	ro						ja	ju	jo
わ				を						びゃ	びゅ	びょ
wa				wo						bya	byu	byo
ん										ぴゃ	ぴゅ	ぴょ
n										pya	pyu	pyo

კატაკანა

ア	イ	ウ	エ	オ	ガ	ギ	グ	ゲ	ゴ	キャ	キュ	キョ
a	i	u	e	o	ga	gi	gu	ge	go	kya	kyu	kyo
カ	キ	ク	ケ	コ	ザ	ジ	ズ	ゼ	ゾ	シャ	シュ	ショ
ka	ki	ku	ke	ko	za	ji	zu	ze	zo	sha	shu	sho
サ	シ	ス	セ	ソ	ダ	チ	ツ	デ	ド	チャ	チュ	チョ
sa	shi	su	se	so	da	ji	zu	de	do	cha	chu	cho
タ	チ	ツ	テ	ト						ニャ	ニュ	ニョ
ta	chi	tsu	te	to						nya	nyu	nyo
ナ	ニ	ヌ	ネ	ノ	バ	ビ	ブ	ベ	ボ	ヒャ	ヒュ	ヒョ
na	ni	nu	ne	no	ba	bi	bu	be	bo	hya	hyu	hyo
ハ	ヒ	フ	ヘ	ホ	パ	ピ	プ	ペ	ポ	ミャ	ミュ	ミョ
ha	hi	fu	he	ho	pa	pi	pu	pe	po	mya	myu	myo
マ	ミ	ム	メ	モ						リャ	リュ	リョ
ma	mi	mu	me	mo						rya	ryu	ryo
ヤ		ユ		ヨ						ギャ	ギュ	ギョ
ya		yu		yo						gya	gyu	gyo
ラ	リ	ル	レ	ロ						ジャ	ジュ	ジョ
ra	ri	ru	re	ro						ja	ju	jo
ワ				ヲ						ビャ	ビュ	ビョ
wa				wo						bya	byu	byo
ン										ピャ	ピュ	ピョ
n										pya	pyu	pyo